თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს

დადგენილება №122

2011 წლის 9 დეკემბერი

ქ. რუსთავი

თვითმმართველი ქალაქის – რუსთავის ტერიტორიაზე ავტობაზრობების კეთილმოწყობის წესის დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 148-ე მუხლის შესაბამისად, თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს თვითმმართველი ქალაქის – რუსთავის ტერიტორიაზე ავტობაზრობების კეთილმოწყობის წესი (დანართი).

მუხლი 2

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე კ. გურგენიძე

შეტანილი ცვლილებები:

1. თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2011 წლის 15 დეკემბრის დადგენილება №124 - ვებგვერდი, 20.12.2011 წ.

დანართი

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2011 წლის 15 დეკემბრის დადგენილება №124 - ვებგვერდი, 20.12.2011 წ.

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის ტერიტორიაზე ავტობაზრობების კეთილმოწყობის წესი

მუხლი 1

ეს წესი განსაზღვრავს თვითმმართველი ქალაქი რუსთავის ტერიტორიაზე ავტობაზრობების კეთილმოწყობის საკითხებს.

მუხლი 2

1. ამ წესით გათვალისწინებული ავტობაზრობების კეთილმოწყობის პროცესი მოიცავს ავტობაზრობების მესაკუთრეთა მიერ ავტობაზრობების ტერიტორიის კეთილმოწყობას, ავტოსატრანსპორტო საშუალებების განლაგების სქემის შეთანხმებას თვითმმართველი ქალაქის – რუსთავის მერიასთან, სადგომების დახაზვას ამ მუხლის მე-2, მე-3, მე-4 პუნქტების შესაბამისად და ავტობაზრობის ფუნქციონირებას სანიტარიული ნორმების დაცვით.

2. ავტოსატრანსპორტო საშუალებების განლაგების სქემით განისაზღვრება ავტობაზრობების ტერიტორიაზე გასაყიდი ავტოსატრანსპორტო საშუალებების განლაგება და მათი მაქსიმალური რაოდენობა იმ პირობით, რომ ავტობაზრობის ფუნქციონირების ნებისმიერ დროს უზრუნველყოფილ იქნეს ავტობაზრობის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებისა და ქვეითად მოსიარულეთა თავისუფალი გადაადგილება.

3. ავტობაზრობის მესაკუთრე ვალდებულია ბაზრობის ტერიტორიის მოწყობა, სადგომების დახაზვა ავტოსატრანსპორტო საშუალებების გაბარიტების გათვალისწინებით და ავტოსატრანსპორტო საშუალებების განთავსება მოახდინოს მხოლოდ თვითმმართველი ქალაქის – რუსთავის მერიასთან შეთანხმებული სქემის შესაბამისად.

4. თვითმმართველი ქალაქის – რუსთავის მერიასთან შეთანხმებული სქემა უნდა ასახავდეს:

ა) ავტობაზრობების ტერიტორიაზე ვიზიტორთა პარკირებისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთის ფართის ოდენობას:

ა.ა) 7 ჰექტრამდე მიწის ნაკვეთის შემთხვევაში – ტერიტორიის 20%;

ა.ბ) 7 ჰექტარზე მეტი მიწის ნაკვეთის შემთხვევაში – ტერიტორიის 40%;

ბ) თითოეული გასაყიდი ავტოსატრანსპორტო საშუალების ავტობაზრობების ტერიტორიაზე განთავსებისთვის გათვალისწინებულ ფართს, რომლის ბეტონით დაფარული საფარი უნდა აღემატებოდეს 4 ჰექტარს:

ბ.ა) მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის 3500 კგ-მდე – 24 კვ/მ (ბაზრობაზე მანქანების გაყიდვისთვის გამოყოფილი ტერიტორიის არა უმეტეს 97%);

ბ.ბ) სამარშრუტო მიკროავტობუსებისთვის – 30 კვ/მ (ბაზრობაზე მანქანების გაყიდვისთვის გამოყოფილი ტერიტორიის არანაკლებ 2,5%);

ბ.გ) სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის – 70 კვ/მ (ბაზრობაზე მანქანების გაყიდვისთვის გამოყოფილი ტერიტორიის არანაკლებ 0,5%);

გ) ავტოსატრანსპორტო საშუალებების ბაზრობის ტერიტორიაზე გადაადგილებისთვის საჭირო ფართს სიგანით არანაკლებ 5 მ.

5. ავტობაზრობის ტერიტორიის მესაკუთრე ვალდებულია:

ა) ავტობაზრობის ტერიტორიაზე განახორციელოს ტუალეტების, ნაგვის ურნების, საზოგადოებრივი კვების ობიექტების, სსიპ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“ სერვისცენტრის, ბანკის სერვისცენტრების განთავსება;

ბ) მონიტორინგის განხორციელების მიზნით აწარმოოს ერთიანი ელექტრონული აღრიცხვის სისტემა, სადაც აღრიცხული იქნება ბაზრობაზე არსებული გასაყიდი ავტოსატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა და სახეობა, რაზედაც წვდომა უნდა გააჩნდეს თვითმმართველი ქალაქის – რუსთავის მერიის ზედამხედველობის სამსახურს.

6. იმ შემთხვევაში, თუ რუსთავის ტერიტორიაზე მოქმედ ავტობაზრობებზე არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება ამ წესის მეორე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, მესაკუთრე ვალდებულია ქალაქის მერიას წარუდგინოს ამ ღონისძიებების გატარებისათვის საჭირო მაქსიმალური ვადები.

მუხლი 3

1. ავტოსატრანსპორტო საშუალებების განლაგების სქემის (სქემაში ცვლილების) საკითხს განიხილავს და მერის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტს ამზადებს თვითმმართველი ქალაქის – რუსთავის მერიის ურბანული დაგეგმარებისა და ტრანსპორტის განვითარების სამსახური.

2. თვითმმართველი ქალაქის – რუსთავის ტერიტორიაზე ახალი ავტობაზრობის მოწყობის შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის (ან მშენებლობის შესაძლებლობის დადასტურების) თაობაზე თვითმმართველი ქალაქის – რუსთავის მერიისათვის წარსადგენი დოკუმენტაცია და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საკითხები განისაზღვრება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებისა და ამ წესის შესაბამისად.

მუხლი 4

1. ამ წესის მე-2 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა გამოიწვევს ავტობაზრობების მესაკუთრეთა პასუხისმგებლობას საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალადღვევათა კოდექსის 148-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით.

2. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 148-ე მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ადგენს თვითმმართველი ქალაქის – რუსთავის მერიის ზედამხედველობის სამსახური.

მუხლი 5

თვითმმართველ ქალაქ რუსთავში ამ წესის ამოქმედების მომენტისთვის არსებული ავტობაზრობების მესაკუთრეებმა ამ წესის მე-2 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულება უზრუნველყონ შეტყობინების მიღებიდან 10 დღის ვადაში.